ს ს ი პ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

ექსპერტიზის დასკვნა



WWW.EXPERTIZA.GOV.GE

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5001642720

19/03/2020 წ.

5001642720

ამხანაგობა „ნუცუბიძის პლატო 601“-ის
წარმომადგენელს შოთა ლებანიძეს

(საქართველო, ქალაქი თბილისი, კავსაძის ქ. #3)

ბატონო შოთა,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2020 წლის 2 მარტის რეგისტრაციის N1001810520) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N001929220 დასკვნას

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 04 ფურცლად;

საპროექტო დოკუმენტაცია - ერთი ფუთა

პატივისცემით,

მერაბ გამყრელიძე
ბიუროს უფროსის მოადგილე

ისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. N84
სი 4600, ი. ჭავჭავაძის 2ა
ი , პ. მელიქიშვილის ქ. N102
95 32) 2258484
@expertiza.gov.ge

84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162
2A I. Chavchvadze str., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili str., Batumi
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

WWW.EXPERTIZA.GOV.GE

5001642720

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____

თარიღი 19.03.2026. (ხელმოწერა) გ.ა.

001929220

ექსპერტის დასკვნა № 001929220

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი:

მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, კავსაძის ქ. #3

სახელი და გვარი: ამხანაგობა „ნუცუბიძის პლატო 601“-ის წარმომადგენელი შოთა ლებანიძე

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები:

დათო ფირყულაშვილი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 12 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ, ჩაატაროთ ექსპერტიზა ჩვენს მიერ წარმოდგენილ დისკზე (კონსტრუქციულ და გეოლოგიურ) პროექტის ექსპერტიზა

შემოსვლის თარიღი: 02/03/2020 წ

გასვლის თარიღი: 19/03/2020 წ

დასკვნა

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი „ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, II მ/რ, I კვარტალი, კორპუსი #8-ის მიმდებარედ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის“ სტრუქტურული საანგარიშო სქემა და საძირკვლის ფილის ნახაზები შესაბამისობაშია მოქმედი ნორმების მოთხოვნებთან. ხოლო ვინაიდან შენობის დარჩენილი ნაწილის კონსტრუქციული პროექტი დამუშავების სტადიაშია და დასაშვებია, რომ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ სქემაში მოხდეს გარკვეული სახის ცვლილებები, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს საძირკვლის კონსტრუქციაზე, რეკომენდებულია კონსტრუქციული პროექტის დასრულების შემდეგ ახლიდან გადამოწმდეს საძირკვლის ფილის ნახაზები. რაც შეეხება ტერიტორიაზე მოსაწყობ საყრდენი კედლის კონსტრუქციული ნახაზებს, ისინი შეესაბამება მოქმედი ნორმების მოთხოვნებს და მისაღებია მშენებლობისათვის

დათო ფირყულაშვილი

გამოკვლევა

საინჟინრო ექსპერტიზაზე განხილულია საპროექტო დოკუმენტაცია „ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, II მ/რ, I კვარტალი, კორპუსი #8-ის მიმდებარედ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი“, რომელიც ითვალისწინებს ახალი შენობის პროექტირებას. ექსპერტიზაზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავს გეოლოგიურ, არქიტექტურულ და კონსტრუქციულ ნაწილებს, საპროექტო შენობის საანგარიშო მოდელს, სტრუქტურული ანგარიშის რაპორტებს.

საპროექტო გადაწყვეტით ტერიტორიაზე ეწყობა საცხოვრებელი სახლი და საყრდენი კედელი. საცხოვრებელი სახლი გეგმაში რთული მოხაზულობისაა, აქვს 2 მიწისქვეშა და 18 მიწისზედა სართული. მზიდი კონსტრუქცია შესრულებულია მონოლითური რკინაბეტონის კარკასში - ვერტიკალურ ელემენტებად გამოყენებულია მართკუთხა კვეთის სვეტები და დიაფრაგმები,

სართულშორისი გადახურვები რიგელიანი სისტემაა 18 სმ სისქის ფილით. საძირკველად მიღებულია მონოლითური რკინაბეტონის ფილა სისქით 100 სმ.

კონსტრუქციული პროექტიდან ექსპერტიზაზე წარმოდგენილია მხოლოდ საპროექტო შენობის საძირკვლის ფილის ნახაზები, ავტორების მიერ სიტყვიერი განმარტების მიხედვით შენობის დანარჩენი ნაწილის პროექტი დამუშავების სტადიაშია, შესაბამისად ექსპერტიზაზე განხილულ იქნა შენობის საანგარიშო სქემა და საძირკვლის ფილის კონსტრუქციული ნახაზებში მოცემული გადაწყვეტები.

სამშენებლო ტერიტორია განისაზღვრება შემდეგი კლიმატური პირობებით:

ქარის სიჩქარე - 37.0 მ/წმ;

თოვლის საფარის წონა - 0.50 კპა.

საერთო მიკროდარაიონებისა (პნ. 01.01-09) და ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით სამშენებლო მოედანის საანგარიშო სეისმურობად მიღებულია 8 ბალი MSK-64 სკალით.

წარმოდგენილი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის თანახმად სამშენებლო ტერიტორიაზე ამგები გრუნტების ფენაში გამოყოფილია სამი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი - სგე:

I სგე - ტექნოგენური გრუნტი (ფენა 1);

II სგე - ძირითადი ქანი - არგილითების და ქვიშაქვების მორიგეობა ძლიერ გამოფიტული(ფენა 2);

III სგე - ძირითადი ქანი - არგილითების და ქვიშაქვების მორიგეობა ნაკლებად გამოფიტული(ფენა 3).

1. საცხოვრებელი სახლი

ნაგებობის მზიდი კონსტრუქციის სივრცითი მოდელის საანგარიშო სქემა შედგენილია პროგრამული კომპლექს „ЛИРА“-ს მეშვეობით სასრული ელემენტების მეთოდის საფუძველზე. სივრცით ანგარიშში მოცემულია ფოლადის და რკინაბეტონის ღეროვან-ფირფიტოვანი სივრცითი სისტემა, რომლის გადაადგილება სივრცეში შეზღუდულია საძირკვლის ძირის დონეზე არსებული X, Y, UZ მიმართულების ბმებით.

საანგარიშო სქემაში მოცემულია შემდეგი სახის დატვირთვები:

1. დატვირთვა #1 - სტატიკური დატვირთვა, მუდმივი მოქმედების;

2. დატვირთვა #2 - სტატიკური დატვირთვა, დროებითი ხანგრძლივი მოქმედების;

3. დატვირთვა #3 - სტატიკური დატვირთვა, დროებითი ხანმოკლე მოქმედების;

4. დატვირთვა #4 - სეისმური დატვირთვა X მიმართულების;

5. დატვირთვა #5 - სეისმური დატვირთვა Y მიმართულების;

6. დატვირთვა #6 - სეისმური დატვირთვა 45^0-იანი მიმართულების;

7. დატვირთვა #7 - სეისმური დატვირთვა 135^0-იანი მიმართულების;

8. დატვირთვა #8 - სტატიკური დატვირთვა, არააქტიური ქარის პულსაციური ზემოქმედებისათვის;

9. დატვირთვა #9 - მყისიერი მოქმედების დატვირთვა - ქარის პულსაციური ზემოქმედება

შენობის საანგარიშო მოდელის სტრუქტურული ანგარიში შემოწმდა პროგრამულ კომპლექს „ЛИРА®-САПР 2018 (R1.1)x64“-ში, ლიცენზიის ნომერი #4713, ზემოთმოცემული სტატიკური და დინამიკური დატვირთვების თანწყობილ ზემოქმედებაზე, მოქმედი სეისმური ნორმის („პნ 01.01-09“) გათვალისწინებით.

საანგარიშო სქემის მიმართ არის შემდეგი სახის რეკომენდაცია:

1. სტრუქტურულ ანგარიშში გასათვალისწინებელია პნ 01.01-09, მუხლი 6, დანართ 3-ის მოთხოვნა;

მთლიანობაში წარმოდგენილი საძირკვლის ფილის კონსტრუქციული გადაწყვეტა და არმირება შესაბამისობაშია მოქმედი ნორმების ძირითად მოთხოვნებთან - საძირკვლის მზიდუნარიანობა სიმტკიცესა და დეფორმაციაზე უზრუნველყოფილია.

თუმცა ვინაიდან შენობის სხვა ნაწილების კონსტრუქცია დამუშავების სტადიაშია და დასაშვებია, რომ წარმოდგენილმა სქემამ განიცადოს გარკვეული სახის კორექტირება (მაგალითად კონსტრუქციული ელემენტების დამატება, მოხსნა, მიღებული განივკვეთის შეცვლა და ა.შ.), რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს საძირკვლის კონსტრუქციაზე, რეკომენდებულია, პროექტის დასრულების შემდეგ, ახლიდან გადამოწმდეს საძირკვლის ნახაზები.

2. საყრდენი კედელი

წარმოდგენილი სტრუქტურული ანგარიშები და კონსტრუქციული ნახაზები შესაბამისობაშია მოქმედი ნორმების მოთხოვნებთან.

ამრიგად, ექსპერტიზაზე წარმოდგენილი „ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, II მ/რ, I კვარტალი, კორპუსი #8-ის მიმდებარედ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის“ სტრუქტურული საანგარიშო სქემა და საძირკვლის ფილის ნახაზები შესაბამისობაშია მოქმედი ნორმების მოთხოვნებთან. ხოლო ვინაიდან შენობის დარჩენილი ნაწილის კონსტრუქციული პროექტი დამუშავების სტადიაშია და დასაშვებია, რომ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ სქემაში მოხდეს გარკვეული სახის ცვლილებები, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს საძირკვლის კონსტრუქციაზე, რეკომენდებულია კონსტრუქციული პროექტის დასრულების შემდეგ ახლიდან გადამოწმდეს საძირკვლის ფილის ნახაზები. რაც შეეხება ტერიტორიაზე მოსაწყობ საყრდენი კედლის კონსტრუქციული ნახაზებს, ისინი შეესაბამება მოქმედი ნორმების მოთხოვნებს და მისაღებია მშენებლობისათვის

დათო ფირყულაშვილი

გამოყენებული მასალები

„ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, II მ/რ, I კვარტალი, კორპუსი #8-ის მიმდებარედ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის“ არქიტექტურული ნაწილი;

„ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, II მ/რ, I კვარტალი, კორპუსი #8-ის მიმდებარედ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის“ კონსტრუქციული ნაწილი - საძირკვლის ფილა;

მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები;

საპროექტო შენობის საანგარიშო მოდელი;

საყრდენი კედლის საანგარიშო მოდელი;

საცხოვრებელი სახლის და საყრდენი კედლის სტრუქტურული ანგარიშების რაპორტები

გამოყენებული ლიტერატურა (სტანდარტი, რეგლამენტები...)

1. პნ 01.05-08 - სამშენებლო კლიმატოლოგია;

2. პნ 01.01-09 - სეისმომედგი მშენებლობა;

3. პნ 02.01-08 - შენობების და ნაგებობების ფუძეები;

4. პნ 03.01-09 - ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები;

5. СНиП 2.01.07-85* - Нагрузки и воздействия, М.: 1987

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ჰარტნიორი ორგანიზაციები:

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამა (INL Program):

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო წლების მანძილზე ატიურად თანამშრომლობს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკულ და სამართალდაცვით პროგრამასთან (INL Program).

INL- ის დახმარებით ლაბორატორიაში ჩატარდა ბიუროს ცენტრალურ ოფისს, სრულად აღიჭურვა ბიუროს დნმ ლაბორატორია და სხვადასხვა ლაბორატორიებისათვის შეძენილ იქნა საჭირო უახლესი აპარატურა. INL –ის ორგანიზებით მუდმივად ხდება ბიუროს ექსპერტების დატრენინგება ექსპერტიზის თანამედროვე მეთოდების შესწავლის მიზნით.

INL-ი ასევე ბიუროს აქტიურად უწევს კონსულტაციას ხარისხის მართვის პროცედურების შემუშავებაში, რაც ხელს შეუწყობს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ISO:17025 საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების დანერგვას.

სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელი (ENFSI):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ლაბორატორიები გაწევრიანებული არიან სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელის (ENFSI) სამუშაო ჯგუფებში:

- დნმ-ის სამუშაო ჯგუფი (DNA Working Group)
- ნარკოტიკების სამუშაო ჯგუფი (Drugs Working Group)
- მინისა და ლაქ-საღებავების სამუშაო ჯგუფი (Paint and Glass Working Group)

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს გაწევრიანებული ლაბორატორიები აქტიურად მონაწილეობენ ENFSI–ის სამუშაო ჯგუფების მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამუშაო შეხვედრებზე და ლაბორატორიების სანდოობის ტესტირებაში.

მსოფლიო საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია - ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“:

„გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ ფონდის დახმარებით დაარსდა და აღიჭურვა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტის ახალი შენობა.

ასევე ფონდის დახმარებით ბიუროს ექსპერტთათვის პერიოდულად ტარდება სასემინარო სწავლებები სასამართლო ფსიქიატრიის აქტუალური საკითხების ფარგლებში.

თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭო (Adli Tip Kurumu):

ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, მიმდინარეობს სამეცნიერო თანამშრომლობა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭოს შორის, რომლის მიზანია განავითაროს კავშირები სასამართლო ექსპერტიზის სფეროში, განახორციელოს ინფორმაციის, იდეებისა და ცოდნის გაცვლა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭოს ლაბორატორიებს შორის.

სახელმწიფო ექსპერტიზის ბიურო - ლატვია (State Forensic Science Bureau):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო თანამშრომლობს ლატვიის სახელმწიფო ექსპერტიზის ბიუროსთან მინის, ლაქ-საღებავებისა და ბოჭკოების ექსპერტიზის მიმართულებით. თანამშრომლობა ითვალისწინებს ჯერების თანამედროვე მეთოდებზე ინფორმაციისა და ლიტერატურის გაზიარებას და სამეცნიერო გაცვლითი პროგრამების ორგანიზებას.

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო (IAEA):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო თანამშრომლობს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან, რომელიც უზრუნველყოფს ბიუროს ექსპერტების გადამზადებას გარემოს ხარისხიანი მონიტორინგის საკითხებში. სწავლება მიმდინარეობს შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

INFO@EXPERTIZA. GOV.GE

WWW.EXPERTIZA.GOV.GE

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. №84
84 Chavchavadze ave. Tbilisi 0162
ქუთაისი 4600, ჭავჭავაძის ქ. №2ა
Chavchavadze str #2a Kutaisi 4600
ბათუმი 6000, მელიქიშვილის ქ. №102
102 P.Melikishvili str. Batumi 6000

(995 32) 225 84 84
info@expertiza.gov.ge